1 ოქტომბერი

წმ. თერეზა ყრმა იესოსი, ქალწ. და მოძ., +1897, (მ), თ

2022 შაბათი

იობ 42,1-3.5-6.12-17; ფს 118; ლკ 10,17-24

მისიონერთა თვე

გიხაროდეთ, რომ თქვენი სახელები ცაშია ჩაწერილი ლკ 10,20

ეს არის უწყვეტი წრთვნა, რასაც ითხოვ ჩვენგან, იესო, მაგრამ ჩვენ ამას ხალისით ვასრულებთ, რადგან ეს სიყვარულის წრთვნაა. ეს იგივეა, რომ მუდმივად ვიმეორო: "მამა, შენი სიყვარული საკ-მარისია ჩემთვის!". ყრმა იესოს წმიდა თერეზა, შენ, ვინც ხარ ექსპერტი, დაგვეხმარე ამ წმიდა წრთვნაში, ნამდვილი დის სიყვარულით!

2 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირადღე, «გ», [III], მწ

2022 კვირა

აბაკ 1,2-3; 2,2-4; ფს 94; 2ტიმ 1,6-8.13-14; ლკ 17,5-10

შეინახე კეთილი საწინდარი სულიწმიდით, რომელიც ჩვენშია დამკვიდრებული 2ტიმ 1,14

ტიმოთემ პავლეს ხელთდასხმით მიიღო კურთხევა მწყემსად და სახარების მაცნედ. ჩვენ ყველას არ მიგვიღია ეს „ძვირფასი სიკეთე“, მაგრამ ყველამ მივიღეთ ნათლობა, ევქარისტია და სხვა საიდუმლოებები. ჩვენ მივიღეთ რწმენის, იმედისა და ქველმოქმედების ნიჭი: ყველა ძვირფასი რამ, რომელიც უნდა დავიცვა სულიწმიდის დახმარებით, ვასაზრდოო ლოცვაში და, უპირველეს ყოვლისა, აღვასრულო.

ოჩშაბათი

გალ 1,6-12; ფს 110; ლკ 10,25-37

ისევ ადამიანებს რომ ვაამებდე,
ქრისტეს მონა აღარ ვიქნებოდი გალ 1,10

სახარების მაუწყებელს ვერ ექნება იმისი მოლოდინი, რომ წუთისოფელში მას გაუგებენ და მხარს მისცემენ. როცა მეკითხებიან, თუ როგორ ხვდებიან ჩვენს საძმოს მეზობელ ქვეყნებში, ვპასუხობ ხოლმე: „ჩვენ ცოდვილნი ვართ, მაგრამ ვეკუთვნით იესოს. როგორ დახვდნენ იესოს, რომელიც არ ყოფილა ცოდვილი?“.

4 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III]

წმ. ფრანცისკე ასიზელი, +1226, (მ), თ

2022

სამშაბათი

გალ 1,13-24; ფს 138; ლკ 10,38-42

მ. იან სნეჟინსკის გახსენება (+2011)

ჩემი ფეღელი ადვილია და
ჩემი ტვირთი — მსუბუქი მთ 11,30

სოფელ კანაცეიში (ტრენტო) წმ. ფლორიანოს ეკლესიის ბრინჯაოს კარზე რვა ადამიანია გამოსახული: ყველა ატარებს თავის ჯვარს, მეტ-ნაკლებად მძიმეს: შვიდ მათგანზე წარწერაა თითო მომაკვდინებელი მანკიერების სახელით: სიამაყე, სიხარბე, ვნება... მერვე, ყველაზე პატარა და მსუბუქია და ამოტვიფრულია სახელი – იესო. გმადლობ, იესო, რომ შენი მორჩილის უღელი ტკბილია, შენი ტვირთი მსუბუქი.

5 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III], მწ

წმ. ფაუსტინა კოვაღსკა, მონაზ., +1938

2022 ოთხშაბათი

გალ 2,1-2.7-14; ფს 116; ლკ 11,1-4

რუსთავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

თეოფილო, გვასწავლე ლოცვა ლკ 11,1

თავად იესომ როდი გადადგა პირველი ნაბიჯი მოწაფეებისათვის ლოცვის სასწავლებლად. დააცადა, ვიდრე თავად არ ითხოვდნენ. მათ კი ამ თხოვნით მიმართეს მას, ვინაიდან გაკვირვებულნი იყვნენ მისი ლოცვის შემხედვარენი, როგორ აგრძელებდა იგი ლოცვას, მარტივი და ნდობით სავსე სიტყვებით რომ მიმართავდა მამას. მადლობა, იესო, რომ გვასწავლე მამის სახის ჭვრეტა!

ხუთშაბათი

გალ 3,1-5; ფს: ლკ 1,69-75; ლკ 11,5-13

დაბაკაკუნეთ და გაგეღებათ ლკ 11,9

უკვე მრავალი წელია, ყოველდღე ვითხოვ ჩვენი ეპარქიისთვის წმიდა მღვდელმთავრების და სასულიერო პირების ნიჭს. მე ვერ ვხედავ ამ ჩემი ლოცვის ნაყოფს... მაგრამ ვაგრძელებ ლოცვას. ამგვარად ვგრძნობ, რომ ვცხოვრობ იესოსადმი შვილობრივი მორჩილებით და დარწმუნებული ვარ, რომ მან, თავის მხრივ, იცის როგორ შეასრულოს თავისი დავალება.

7 ოქტომბერი

2022 პარასკევი

გალ 3,7-14; ფს 110; ლკ 11,15-26

ახალციხის რაბათის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ისინი, ვინც რწმენისაგან არიან, მორწმუნე აბრაამთან ერთად იკურთხებიან გალ 3,9

მკვდრეთით აღმდგარი იესოს მიერ დაპყრობილი მოძღვარი, მასწავლებელი და მოციქული, წმიდა პავლე, თავის ებრაელ ძმებს უჩიჩინებს: რჯულის საქმეებს როდი შეუძლიათ სიცოცხლის კარის გაღება, არამედ მხოლოდ იესოს რწმენას! ის არის აბრაამისთვის აღთქმული კურთხევა მისი რწმენისთვის; ისაა, თავისი ჯვრით! წმიდა სავარდის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელო, რამდენი მადლი, რამდენი გამარჯვება მოიპოვე რწმენის წყალობით, ამ ლოცვის წყალობით!

შაბათი

გალ 3,22-29; ფს 104; ლკ 11,27-28

ნეტარ არიან ისინი, ვინც ისმენენ და იცავენ ღვთის სიტყვას ლკ 11,28

რატომ არიან ნეტარნი? მოსმენით ისინი ღებულობენ ღვთის სიბრძნეს, და ამ სიტყვის დაცვით ცხოვრობენ ღვთიური სიცოცხლით. სიტყვა გვეუწყა, რათა დავიცვათ ის და ხორცი შევასხათ: დიადი ნიჭია ეს! ნუ დაუშვებ, რომ შენმა შვილებმა, შენმა და-ძმებმა, შენმა მეგობრებმა იცხოვრონ ღვთის სიტყვის ნიჭის გარეშე!

9 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირადღე, «გ», [IV], მწ

2022 კვირა

4მეფ 5,14-17; ფს 97; 2ტიმ 2,8-13; ლკ 17,11-19

მ. პეტრე ხარისჭირაშვილის გახსენება (+1892)

შეგვიწყალე, იესო მოძღვარო! ლკ 17,13

დღევანდელი სახარების ათი კეთროვანის მსგავსად, ჩვენც ყოველთვის თავდაჯერებულად მივდივართ იესოსთან: ის ღმერთია, სიკვდილზეც კი უფლობს. იმ ერთადერთი კეთროვანის მსგავსად, რომელიც იმ დღეს დაბრუნდა მადლობის სათქმელად, ჩვენც გვინდა მისი მოქმედება ვაღიაროთ და ყოველთვის მადლობა გადავუხადოთ მას ყველაფერში: მასთან სიახლოვე ყველაზე დიდი საჩუქარია.

ოჩშაბათი

გალ 4,22-24.26-27.31–5,1; ფს 112; ლკ 11,29-32

თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ

გალ 5,1

თავისუფლებაა ის, რასაც ყველა ეძებს. სად და როგორ? მრავალი თავისუფლება მონობად იქცევა ხოლმე, ვინმეს, ან რამის მონობად: ადამიანთაგან თუ ნივთიერებათაგან დამოკიდებულება. ნამდვილი თავისუფლება იესოს ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნისა და მისდამი მორჩილების ნაყოფია. იცხოვრე მასთან და გათავისუფლდები შიშებისაგან, სიცრუისაგან, სიყალბისაგან. მასთან ერთად შეიძენ შეყვარების უნარს, ძალდატანების გარეშე.

11 ოქტომბერი

წმ. იოანე XXIII, პაპი, +1963

2022 სამშაბათი

გალ 5,1-6; ფს 118; ლკ 11,37-41

ქრისტეში მალა აქვს არა
წინადაცვეთას, არამედ რწმენას გალ 5,6

პავლე გულმოდგინედ ესაუბრება თავის ხალხს, რომელიც უყვარს: ის, რჯულისა და მამათა მცოდნე, როცა მადლი შეეხო, მიხვდა, რომ ვერანაირი საქმე ვერ გვიხსნიდა, არამედ მხოლოდ იესო, თავისი ჯვარცმული და აღმდგარი სიყვარულით. ჩვენც გვეუბნება ამას; დავრჩებით იესოსთან ახლოს, ჩვენი საქმე იქნება მისი სიტყვის „შესრულება“; ჩვენ ახლავე შევალთ სიცოცხლეში.

12 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

2022 ოთხშაბათი

გალ 5,18-25; ფს 1; ლკ 11,42-46

თუ სულით ვცოცხლობთ,
სულითვე უნდა ვიარეთ გალ 5,25

ვინც წმიდა სულის შთაგონებებს მიჰყვება, მუდამ სიყვარულისკენაა მიმართული. სიყვარული აღემატება ყოველ რჯულსა და კანონს. აღარავითარი კანონი აღარაა იძულება, რაკი ის, ვისაც უყვარს, აკეთებს მეტს და უკეთ, ვიდრე შეიძლება ბრძანებით გამოხატო!

.

13 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

2022 ხუთშაბათი

ეფ 1,1-10; ფს 97; ლკ 11,47-54

ქვეყნიერების შექმნამდე ამოგვირჩია მასში ეფ 1,4

ის, რასაც ღმერთი ირჩევს ჩვენზე როდია დამოკიდებული. მისი სიყვარული წინ გვისწრებს, მეტიც, ისაა ძალა, რომელიც გვაცოცხლებს. ჩვენი სახელი მუდამ თვალწინ უდგას, იმდენადაც კი, რომ სამყარო მოგვწვდა ჩვენ როგორც მისი სიყვარულის საჩუქარი.

14 ოქტომბერი

2022

რიგითი XXVIII კვირა [IV], მწ

(1.X) დღესასწაული კვართისა; წმმ. მიხიან და ნანა, IVს.; წმ. მეოქისეფეკ I, კათაღიკოს-პატრიარქი, +1033 წმ. კაღიქსტე I, პაპი და წამ., +222

პარასკევი

ეფ 1,11-14; ფს 32; ლკ 12,1-7

მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე

ნუ გეშინიათ, თქვენ ბევრ ბეღურაზე უკეთესნი ხართ ლკ 12,7

დრო და დრო ისეთი ამბების, შეხედულებებისა და იდეოლოგიების შესახებ გავიგებთ ხოლმე, რომლებიც სრულებით ეწინააღმდეგება ჩვენს რწმენას, და შესაბამისად, ჩვენს ცხოვრებას. შიშს უნდა მივეცეთ? არამც და არა: მამა დაგვყურებს, რადგან მისთვის ჩვენი ფასი ვერასოდეს შეედრება ბეღურების ფასს, არადა ის ხომ ბეღურებზეც ზრუნავს: მის თვალში შვილების წონა გვაქვს ყველას.

.

15 ოქტომბერი

2022

რიგითი XXVIII კვირა [IV]

(2.X) წმმ. დავითი და კონსტანტინე, მოწამენი +740 (მ), წ
წმ. თერეზა ავილელი, ქალწ., მოძ., +1582, (მ), თ

შაბათი

ეფ 1,15-23; ფს 8; ლკ 12,8-12

სულიწმიდა გასწავლით მაშინ,
რაც უნდა ილაპარაკოთ ლკ 12,12

რამდენჯერ უნდა გავემზადოთ რთული მდგომარეობებისათვის, იმ ხალხთან შესახვედრად, რომელთაც ძლიერი გავლენა შეიძლება ჰქონდეთ ჩვენს ცხოვრებაზე! ვფორიაქდებით ხოლმე, მოუსვენრობა იმარჯვებს ხოლმე ჩვენში, ვიმზადებთ ხოლმე სათქმელ სიტყვებს... იესო გვთავაზობს სხვა გამოსავალს: მიენდე სული წმიდას! მას ძალუძს უკეთესი სიტყვები გვიკარნახოს შესაფერის დროს. მივენდობი წმიდა სულს!

16 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირადღე, «გ», [I], მწ

2022 კვირა

გამ 17,8-13; ფს 120; 2ტიმ 3,14–4,2; ლკ 18,1-8

მისიონერთა მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისათვის
წმ. კამილოს ასულთა დღესასწაული

თქვენ გეუბნებით,
მალე დაიცავს მათ ლკ 18,8

დღეს ჩვენც ვართ იმ „რჩეულთა შორის, ვინც მას შეჰღაღადებს“: ჩვენ, ვინც, მორჩილნი და ერთგულნი, ღარიბნი, მაგრამ მხიარულნი, ვიკრიბებით ჩვენს მკვდრეთით აღმდგარ უფალ იესოსთან. „სამყარო დგას წმიდანთა ლოცვაზე“: მაშ, გამაგრდი; არ დაიღალო გულში იესოსთან ერთად ცხოვრებით და ძმებთან ერთად ლოცვით.

17 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I]

წმ. ეგნატე ანტიოქიელი, ეპ. და წამ., +~107, (მ), წ

2022

ოიშაბათი

ეფ 2,1-10; ფს 99; ლკ 12,13-21

ადამიანის სიცოცხლე მისი ქონების სიუხვეზე როდია დამოკიდებული ლკ 12,15

იმ ორ ძმას, რომლებიც მემკვიდრეობაზე კამათობდნენ, იესო ეუბნება, რომ მათი სიცოცხლე, ისევე, როგორც ყველას სიცოცხლე არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას ფლობს ადამიანი: პირიქით, დამოკიდებულია ... იმაზე, თუ რას გასცემს! ის, რასაც ვაზიარებთ, გვამდიდრებს სამარადისოდ. მაშ ღირს კი კამათი?

18 ოქტომბერი

2022

წმ. ლუკა, მახარებელი, დ, [ს], წ

(5.X) წმ. ღიხსი გხიგოღ ხანძთეღი, +861;
კღახჯეთის უღაბნოს ღიხსნი მამანი და ღეღანი, VIII-IXსს.

სამშაბათი

2ტიმ 4,10-17; ფს 144; ლკ 10,1-9

ღვთის სასუფეველი მოგიახლოვდათ ლკ 10,9

დილის ლოცვა მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანია, რომ იესოს დავუთმოთ მთელი დრო, რაც შეგვიძლია, ვიდრე ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას შევუდგებით; ეს შეიძლება იყოს წმიდა წირვა ან სახარების მედიტაციური მოსმენა... სულიწმიდა ხელმძღვანელობს მათ, ვისაც უყვარს იესო. მნიშვნელოვანია: ეს არის გულში იესოს მოხმობა, რათა შემდეგ, სადაც არ უნდა წავიდეთ, შევძლოთ თქმა: "მოახლოვდა ღვთის სამეფო". წმიდაო ლუკა, იესოს ლოცვის მახარებელო, შეგვეწიე!

19 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

წმმ. იოანე დე ბრებეფი და ისააკ ჟოგი, ხუც. და მეგ., წამ., +XVII ს;/წმ. პავლე ჯვრისა, ხუც., +1775

2022

ოთხშაბათი

ეფ 3,2-12; ფს: ეს 12,2-6; ლკ 12,39-48

ნეტარია მონა, რომლის ბატონი მოვა და ამის მოქმედს ნახავს მას ლკ 12,43

რა არის ის საქმე, რისთვისაც იესო "ნეტარს" უწოდებს იმ მსახურს? საქმელს არიგებდა, ირგვლივ სიცოცხლეს არიგებდა. ბატონის მოსვლის დრო არ იცოდა, მაგრამ გულმოდგინედ ასრულებდა იმ საქმეს, რომელიც დაავალებად მიიღო: მუდამ მზად იყო!

2022 ხუთშაბათი

ეფ 3,14-21; ფს 32; ლკ 12,49-53

მოგცეთ ძალა შინაგან კაცში განსამტკიცებლად ეფ 3,16

შინაგანი ადამიანი ჩემი ის ნაწილია, რომელიც, თუკი სულიწმიდას დაჰყვა, მამის გულის მიხედვით მართავს მთელ ჩემს არსებას, აზრებს, გრძნობებს, მოქმედებებს. ამრიგად, მე ვცხოვრობ იესოსთან გაერთიანებულ სიხარულსა და სიმშვიდეში, რომელიც მომდინარეობს მისი სიყვარულიდან, სიძნელეებში ძლიერი და სიყვარულის უნარით მუდამ.

21 ოქტომბერი

2022 პარასკევი

ეფ 4,1-6; ფს 23; ლკ 12,54-59

...შენს მოდავესთან ეცადე მოაგვარო ლკ 12,58

მოწინააღმდეგესთან შეთანხმებისთვის, ჩვეულებრივ, რაღაცაზე უარის თქმაა ხოლმე საჭირო. რა შეთანხმებისაკენ მიწვევ, იესო? ვისთან? მესმის შენი ნათქვამი: უარყავი შენი თავკერძა და ამაყი საკუთარი თავი და აღიარე, რომ მამის ჭეშმარიტი ძე ხარ. როგორც მოგიწოდებს პავლე: თავმდაბალად და ტკბილად, სიყვარულში გამძლედ, მშვიდობაში ერთიანობის შენარჩუნებით.

22 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I], მწ

წმ. იოანე პავლე II, პაპი, +2005

2022 შაბათი

ეფ 4,7-16; ფს 121; ლკ 13,1-9

იქნებ მოისხას ნაყოფი,
თუ არა და, მოჭრი მას ლკ 13,9

რა იოლად გვავიწყდება, რომ იესომ ესოდენი ტანჯვა დაითმინა ჩვენთვის და ახლაც შრომობს ჩვენი გადარჩენისთვის! ჩვენ ასევე გვავიწყდება, რომ მხოლოდ მასთან არის ჩვენი ცხოვრება უსაფრთხო. დღეს ჩვენ გვინდა ვიყოთ მორჩილნი მისი შთაგონების მიმართ, მივიღოთ მისი წამოწყებები: რადგან მას ესოდენ ვუყვარვართ, რომ არ სურს, სამარადისოდ დაგვკარგოს.

23 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირადღე, «გ», [II], მწ

2022 კვირა

ზირ 35, 12-14.16-18; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.16-18; ლკ 18,9-14

ყველა, ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება ლკ 18,14

როცა თავს „დიდ ვინმედ“ ვგრძნობთ ხოლმე და ამ დროს რაღაც გვაიძულებს, ფეხი აგვისრიალდეს... ეს მადლია! დიახ, რადგან როდესაც ჩვენ ვაღიარებთ ქეშმარიტებას, ანუ ჩვენს სიმცირეს, და საკუთარ თავს მივანდებთ მას, ვინც გვცნობს და ყოველთვის ვუყვარვართ, ვხდებით დიდები, მისთვის და მისი შვილებისთვის მოსაწონი.

24 ოქტომბერი

2022

რიგითი XXX კვირა [II], მწ
წმ. ანტონ მარია კლარეტი, ეპ., +1870;
ნ. ჯუზეპე ბალდო, წმ. იოსების პატარა ქალიშვილთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1915

ოჩშაბათი

ეფ 4,32–5,8; ფს 1; ლკ 13,10-17

დაინახა იგი იესომ და დაუძახა ლკ 13,12

დღესაც, იესო, შენ მხედავ და მიხმობ შენთან ახლოს. ეს იქნება ჩემი სიხარული, მაშინაც კი, როცა რაღაც ტანჯვას წავაწყდები; ეს იქნება ჩემი ძალა, როცა შენი სიტყვით ცხოვრება ჯვრად მექცევა. იესო, მწამს შენი სიყვარული!

25 ოქტომბერი

2022 სამშაბათი

ეფ 5,21-33; ფს 127; ლკ 13,18-21

მ. გაბრიელ ასლანაშვილის გახსენება (+1930)

ღვთის სასუფეველი ჰგავს
მდოგვის მარცვალს ლკ 13,19

დღესაც იესო გვესაუბრება ღვთის სასუფეველ-ზე, იმ რეალობაზე, ცხოვრებაზე, სამყაროზე, წუთისოფლის მზერა რომ ვერ სწვდება, მაგრამ რომელიც ესოდენ ცოცხალია, ესოდენ ახლო, სადაც მეფობს მამა. იესო იტყვის: "მაგრამ თქვენ მიხილავთ, რადგან მე ვცოცხლობ და თქვენც იცოცხლებთ". აქ ისეთი უმცირესი რამეც კი, როგორიცაა მდოგვის მარცვალი, დიდი ხდება, სიცოცხლის ნაყოფს გამოიღებს ბევრისთვის.

2022 ოთხშაბათი

ეფ 6,1-9; ფს 144; ლკ 13,22-30

და გეტყვით: "არ გიცნობთ, სადათურები ხართ" ლკ 13,27

არადა ისინი ღვთის ერს ეკუთვნოდნენ, იესო მათ სოფლებში ლაპარაკობდა... თუმცა, ის მათ უცხოებად გრძნობს. ხშირად ვეკითხები ჩემს თავს: „ეს ჩემი სიტყვა, ჩემი ეს დამოკიდებულება, საიდან მოდის? მამისგან? მისი სულისგან?”

2022 ხუთშაბათი

ეფ 6,10-20; ფს 143; ლკ 13,31-35

მე უნდა ვიარო დღეს ლკ 13,33

ფარისევლები იესოს იერუსალიმის დატოვებისკენ უბიძგებენ, რადგან აქ ჰეროდე მის მოკვლას ცდილობდა. იესო პასუხობს: "აუცილებელია...". ეს გამოთქმა წმიდა წერილში მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის ღვთის ნება, იესო არ განიხილავს მამის ნებისგან განსხვავებულ გზებს: მხოლოდ მის ხელთ გრძნობს თავს უსაფრთხოდ.

28 ოქტომბერი

წმმ. სიმონი და იუდა, მოციქულნი, დ, [ს], ნ

2022 პარასკევი

ეფ 2,19-22; ფს 18; ლკ 6,12-19

სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იესომ მთელი ღამე ღვთისადმი ლოცვაში გაატარა ლკ 6,12

იესო მთელ ღამეს ატარებს ლოცვაში, სანამ აირჩევს თორმეტს, მათ, ვინც იქნებოდა ღვთის ახალი ხალხის მეგზური.
დღეს ჩვენ ორ მათგანს ვზეიმობთ და ვეგებებით სწორედ იმიტომ, რომ ისინი იესომ აირჩია მამის გულის მიხედვით. დღესაც იმავე ნდობითა და მადლიერებით მივიღებთ მათ მემკვიდრეებს, ჩვენს ეპისკოპოსებს.

29 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II], მწ

(16.X) წმ. ღიხსი ზენომ იყაღთოეღი, მონაზონი, VIს

2022 შაბათი

ფილიპ 1,18-26; ფს 41; ლკ 14,1.7-11

მიდი და დაჯექი ბოლო ადგილზე ლკ 14,10

იესო, როგორც კარგი და ბრძენი მამა, შენ შეგვაგონებ. შენ იცი, რომ თავმდაბალი ადამიანი სასიამოვნოა მამისთვისაც და ადამიანებისთვისაც და გვამხნევებ ამ გზაზე სასიარულოდ. დამეხმარეთ, რადგან ჯერ კიდევ ვგრძნობ ჩემში ძლიერ სურვილს, ვასიამოვნო ადამიანებს, ვეძიო მათგან პატივისცემა დიდი საქმეების კეთებით. კიდევ ერთხელ შემახსენე, რომ მხოლოდ მცირეთა აყვანა შეიძლება მამის მკლავებში.

30 ოქტომბერი

რიგითი XXXI კვირადღე, «გ», [III], მწ

2022 კვირა

სიბრძ 11,22–12,2; ფს 144; 2თეს 1,11–2,2; ლკ 19,1-10

სთურდა იესოს ხილვა ლკ 19,3

მოგიწია შენი დაბალი ტანის დაბრკოლების
გადალახვა, ზაქე... ყველას, ვისაც იესოს ხილვა
სურს, შეხვდება დაბრკოლებები: იმის დაკარგვის
შიში, რაც მის თვალში ძვირფასია, შიში იმ
უწესრიგობისა, რომელშიც აღმოჩნდება...
ოღონდ, როცა იესოს იპოვის, მაშინ, ზაქეს
მსგავსად, ჩვენც აღარაფერს დავეძებთ:
ვიპოვეთ ის, ვისაც სრულებით ვუყვარვართ,
ვინც გვპატიობს! ამიტომ შევეცადოთ
დავინახოთ იესო!

ოჩშაბათი

ფილიპ 2,1-4; ფს 130; ლკ 14,12-14

შენ მართალთა აღდგომისას მოგეზღვება ლკ 14,14

როცა საკუთარი თავისთვის ვცხოვრობდი, ხშირად უსაქმოდ ვიყავი და „მობეზრებული“ მქონდა ყველაფერი. შემდეგ იესომ დამიპყრო და აქედან მოყოლებული, აღარ მაქვს თავისუფალი წუთი: ყველგან ვხედავ "ღარიბს", შესაძლოა მხოლოდ სატელეფონო ზარის სჭირდებათ, მაგრამ უანგარო, ანუ ... სიყვარულით! ჯილდო? აღმდგარი იესოს გულში, სამოთხის ჭაშნიკი!